ხელშეკრულება N 1-103-23 / N018

მომსახურების გაწევის შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-10^1 მუხლი მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ქ. თბილისი

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1 `შემსყიდველი ორგანიზაცია~ (შემდგომ `შემსყიდველი~) ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.2 `მიმწოდებელი~ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
1.3 `ხელშეკრულების ღირებულება~ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.4 `დღე~, `კვირა~, `თვე~ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები
ერთის მხრივ, **საქართველოს კულტურილი მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო (ს/კ 204562311)** (შემდგომში - „შემსყიდველი”) მისი გენერალური დირექტორის ნიკოლოზ აზნაურაშვილის სახით და მეორეს მხრივ **სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო** (შემდგომში - ,,მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი ფინანსური დეპარტამენტის უფროსის თენგიზ მიქავას სახით, მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებისა და მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

3. ხელშეკრულების საგანი
ხელშეკრულების საგანია კანონმდებლობით დადგენილი წესით სააგენტოს მიერ შემსყიდველისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა **(მერქნული რესურსის აღრიცხვის მომსახურება მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, თიანეთის სატყეოში 42 581 კვადრატულ მეტრ მიწის ფართობზე),** თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად, ხელშეკრულების მე-4 მუხლში მითითებული მოცულობისა და სავარაუდო ღირებულების ფარგლებში (CPV – 77231300).

4. მომსახურების ღირებულება
4.1. 1 (ერთი) $მ^3$ მერქნული რესურსის აღრიცხვის ღირებულება შეადგენს 3 (სამი) ლარს (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით). მომსახურების ტარიფი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით - „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221-ე დადგენილებით დამტკიცებული მე-4 დანართის მე-4 პუნქტის შესაბამისად - 3 ლარი აღრიცხული ერთი კუბური მეტრი მერქნული რესურსისათვის და 0.10 ლარი ერთი კვ.მ ფართობის შესწავლისათვის. 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი (პროგრამა).
4.2 მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრება ფაქტობრივად აღრიცხული მოცულობისა და 1 (ერთი) $მ^3$ მერქნული რესურსის აღრიცხვის ღირებულების ერთმანეთზე ნამრავლს დამატებული ფაქტობრივი ფართობის 0.10 ლარზე ნამრავლით.
4.3. ხელშეკრულების ღირებულება საორიენტაციოდ შეადგენს **4700** (ოთხი ათას შვიდასი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

5. მომსახურების მიწოდების პირობები

5.1. მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს საქართველოს სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნების განუხრელი დაცვით.

5.2. მომსახურების მიწოდება უნდა დასრულდეს ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს **30** კალენდარული დღისა.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1.მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების შესაბამისად.

6.2.მომსახურების მიწოდების მიზნით მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს მერქნული რესურსის აღრიცხვის უწყისი (დანართი N1-ის შესაბამისად).

6.3.შემსყიდველის მხრიდან მცხეთა-მთიანეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე, მერქნული რესურსის აღრიცხვის მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებამოსილ პირად განისაზღვრება, **სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მონიტორინგის სამსახურის თანამშრომელი ნიკოლოზ ზაზუნიშვილი (nzazunishvili@yahoo.com).**

6.4 მიმწოდებლის მხრიდან მომსახურების ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი არის მცხეთა-მთიანეთის სატყეო სამსახურის უფროსი ლევან ბადაგაძე.

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

7.3.ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების ღირებულების შესაბამისად.

7.4.ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მხრიდან მომსახურების გაწევიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა.

8. მხარეთა ვალდებულებები

8.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

8.1.1. შემსყიდველს მიაწოდოს მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

8.1.2. მიაწოდოს შემსყიდველს მომსახურება საქართველოში მოქმედი ნორმატიული ატქებისა და დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

8.1.3.კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

8.1.4. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

8.2.1. მიმწოდებელს ჩააბაროს ტყეკაფის მონიშვნას დაქვემდებარებული ტერიტორიის გარე კონტურები.

8.2.2. დაფინანსების წყაროთი გათვალისწინებული თანხების უწყვეტი დაფარვის პირობებში უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება.

8.2.3. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

9. მხარეთა უფლება

9.1 მიმწოდებელს უფლება აქვს:

9.1.1 ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული ანგარიშსწორება.

9.2 შემსყიდველს უფლება აქვს:

9.2.1 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

9.2.2 უარი განაცხადოს არასათანადო მომსახურების მიღებაზე.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, დაფინანსების წყაროს მკვეთრი შემცირებით და სხვა.
10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა
11.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
11.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების“ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა
12.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
12.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
14.1.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების მე-4 მუხლის, 4.2 პუნქტის შესაბამისად 1 %-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
14.2 ხელშეკრულების ფარგლებში გასაფორმებელ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოუწერილობა დამკვეთს არ ათავისუფლებს დაკისრებული ფინანსური ვალდებულებების გადახდისაგან (მ.შ პირგასამტეხლო).
14.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
14.4 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა
15.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
15.1.1 მხარეთა შეთანხმებით;
15.1.2 ხელშეკრულების 14.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

15.1.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16. **ინსპექტირების პირობები**

16.1 ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მონიტორინგის სამსახურის თანამშრომელი ნიკოლოზ ზაზუნიშვილი.

16.2 წინამდებარე ხელშეკრულების 16.1. პუნქტით გათვალისწინებული პირის ფუნქციებია:

16.2.1 მიწოდებული მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

16.2.2 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბერის ჩათვლით.

18. განსაკუთრებული პირობები

ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ,,შემსყიდველთან", ერთი ეგზემპლარი - ,,მიმწოდებელთან''.

„მიმწოდებელი“	„შემსყიდველი“
ს.ს.ი.პ ეროვნული სატყეო სააგენტო მის: ვ. წითლანაძის I შესახვევი N1; საიდ/კოდი: N 204578581 ტელ: (+995 32) 2 72 72 87 საბანკო რეკვიზიტები: მიმღების ბანკი-სახელმწიფო ხაზინა მიმღების დასახელება-ხაზინის ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი -TRESGE22 სახაზინო კოდი /ანგარიში N707367499 LEPL National Forestry Agency Digitally signed by LEPL National Forestry Agency Date: 2023.04.28 17:01:14 +04'00' --- თენგიზ მიქავა ფინანსური დეპარტამენტის უფროსი	სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო” მისამართი: ქ. თბილისი, თაბუკაშვილის #7 ელ.ფოსტა: info@heritagesites.ge სახელმწიფო ხაზინა; კოდი: TRESGE22 ა/ა # GE24NB0330100200165022 სახაზინო კოდი - 707617111 ს/კოდი: 204562311 National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia Digitally signed by National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia Date: 2023.04.28 16:39:59 +04'00' --- ნიკოლოზ აზნაურაშვილი გენერალური დირექტორი

<u>**საფუძველი: მოხსენებითი ბარათი #1142/19 28 / აპრილი / 2023 წ.**</u>

დანართი №1

ტყეკაფის აღრიცხვის უწყისი

ტყეკაფის მონიშვნის დაწყების თარიღი ————————————————————

ტყეკაფის მონიშვნის დამთავრების თარიღი ————————————————————

მართვის ორგანო _____

სატყეო უბანი _____ სატყეო _____

ტყითმოსარგებლე_____

კვარტალი №____, ლიტერ(ებ)ი №_____, ფართობი _____ ჰა

ჭრის სახე _____ კორომის შემადგენლობა ————, ჭრის % _____ სიხშირე ————

სიმაღლის თანრიგი ———— GPS კოორდინატები X _____ **Y** Y _____

X _____ **Y** Y _____

ხნოვანება ———————————— მოზარდ-აღმონაცენი ————————————

სიმაღლე ზღვის დონიდან ——————————— დაქანება (გრადუსი) ——————————

ხის №	ჯიში (სახეობა)	ხის ხარისხი და დიამეტრი DD t				გასაცემი მერქნის მოცულობა m^3					შენიშვნა	გაცემა
		I ხარისხის	II ხარისხის	საქმისი მერქანი (ლიკვიდი)	შეშა ვარჯიდან	ხარისხის მიხედვით m^3, სულ m^3						
						I ხარისხის	II ხარისხის	ჯამი				
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11		

შენიშვნა: შეშა ვარჯიდან იანგარიშება ფოთლოვნებისათვის ხის ღეროს მოცულობის (ქერქით) 10%, ხოლო წიწვოვნებისათვის ხის ღეროს მოცულობის (ქერქით) 5%, გარდა თხმელისა, აკაციისა და წყავის ჯიშის ხეებისა. აღრიცხვის უწყისის ბოლო გრაფაში აისახება ცხრილში მითითებული რეკვიზიტების საერთო ჯამი. ასევე შენიშვნის გრაფაში მიეთითება ფაუტი, გადატეხილი და ზეხმელი ხე.

ტყეკაფის მომნიშნავი:----------

უწყისის შედგენის თარიღი:----------

ვიზირებულია: